

საბანკო მომსახურების პირობებს დაემატოს 1.11., 1.12. და 1.13. პუნქტები

1.11. **ბანკის** მიერ საგადახდო მომსახურების განხორციელების წესები მოცემულია წინამდებარე **პირობებში** და **ბანკის** ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge. ამასთან, **ბანკის** ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ პირობებს და წინამდებარე **პირობებს** შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე **პირობებს**.

1.12. კონკრეტული საგადახდო მომსახურების ფარგლებში **კლიენტისათვის** ინფორმაციის მიწოდება შეიძლება განხორციელოს **ბანკის** თანამშრომელმა ზეპირად, ხოლო დისტანციური საბანკო მომსახურების მიღებისას **კლიენტს** შეუძლია იხელმძღვანელოს **ბანკის** ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge განთავსებული წესებით და წინამდებარე **პირობებით**.

1.13. კონკრეტული გადახდის **ოპერაციის** დეტალების შესახებ **კლიენტს** ინფორმაციის მიღება შეუძლია **ბანკის** სერვის ცენტრის, ან/და სატელეფონო ცენტრის საშუალებით, ასევე გადახდის ოპერაციის ტიპიდან გამომდინარე **კლიენტზე** შეიძლება გაიცეს ამონაწერი, ცნობა, ქვითარი ან/და სხვა დოკუმენტი **ბანკის** მიერ განსაზღვრული ფორმით და პირობებით.

საბანკო მომსახურების პირობების 3.1.5.2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის წინადადება:

„ამასთან, **კლიენტის** მიერ 18:00 სთ-ის შემდეგ წარმოდგენილი გამავალი სავალუტო გადარიცხვები, ასევე 15:45 სთ-ის შემდეგ 10 000 (ათი ათასი) ლარამდე და 16:55 სთ-ის 10 000 (ათი ათასი) ლარს ზემოთ წარმოდგენილი გადარიცხვები ეროვნულ ვალუტაში, მიღებულად ჩაითვლება მომდევნო **საბანკო დღეს**“

საბანკო მომსახურების პირობებს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.3.6.11. პუნქტი:

„3.3.6.11. VISA International-ისა და MasterCard International-ის საგადამხდელო სისტემის **ბარათებით** ანგარიშსწორებისას თანხის კონვერტაციის შემთხვევაში გადაახდევინოს **კლიენტს** კონვერტაციის საკომისიო **ოპერაციის** მოცულობის 2%-ის ოდენობით.“